პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 • ხუთშაბათი 5 იანვარი • № 4 (17048) • ფასი 2 კაპ. 1978

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეუბნადლებას მიიპყრობს იმას, რომ თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, კონტროლის გაძლიერებას საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, საწარმოო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 13 დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან.

საზოგადოებრივ მეცხოველეობას — პარტიული ზრუნვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ლანჩხუთის რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და საკვები ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“

დადგენილებაში აღინიშნულია, რომ ბოლო წლებში ლანჩხუთის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, რათა აემაღლებინათ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ეფექტიანობა პირუტყვის ინტენსიური სულქების ორგანიზაციის, სანაშენე ხბორების გამოზრდისა და ენერგეტიკული ჯიშების აღდგენის გზით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საკვებწარმოებას. შოალედური კულტურების ნათესების გაფართოებას.

ამასთანავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ რაიონში ჯერ ისევ დაბალია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დონე, სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს დარგი აქ ძირითადად წარმოდგენილია პატარა-პატარა თერმებით. რაც ხელს უშლის მეცხოველეობის წარმოების პროგრესული ფორმების ფართო დანერგვას. რესპუბლიკის მოწინავე რაიონებთან შედარებით აქ მკვეთრია წველადობა და პირუტყვის სამუალო სადღეღამისო წონამატება. რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები დიდ ზარალს განიცდიან მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციისას. დაბალმოყოფილებლად არ ვითარდება მეცხოველეობა მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში.

ლანჩხუთის რაიონში, ხაზგასმულია დადგენილებაში, არის საკვების წარმოების გაზრდის დიდი რეზერვები, და იგი ადგილის ხანში შეიძლება დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ წამყვან მეცხოველეობის რაიონად გადაქცეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სასწავლო-საკვლევი, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის წინადადებანი, რომელთა მიზანია დაჩქარდეს საზოგადოებრივ მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესი, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრესული ტექნოლოგიით ძროხის ხორცის, რძის, ღორის ხორცის წარმოება და შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა 1978-1979 წლებში სოფელ გვიმბალაურის კოლმეურნეობაში აშენოს საკოლმეურნეობათშორისო მეფორრეობის კომბლექსი 6 ათასი სულისათვის, სოფლების ჩიბათისა და ნიგვზიანის კოლმეურნეობებში განახორციელოს რეკონსტრუქცია და გაათბართოს სარძეო მიმართულების მეცხოველეობა ფერმები შესაბამისად თითოეული 400-მდე სულისათვის, ხოლო 1979-1980 წლებში გარდაქმნას ყოფილი საკოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფერმის სადგომები 10 ათასი სული ღორის გასასუქებლად.

დადგენილებაში დასახელებულია კონკრეტული გეგმები: მეთერთმეტე ხუთწლედში აშენდეს რაიონში სარძეო კომპლექსი, გაფართოვდეს სასუქებელი სამეურნეობათშორისო გაერთიანება, გარდაიქმნას მეფრინველეობის თაბრიკა, აშენდეს საკვების საამქროები, გამოიყოს მეურნეობებს საჭირო ტექნიკა. შეიქმნას მეცხოველეობის გაერთიანება ჩასაყენებელი მოზარდეულის გამოსაზრდელად.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება იძლევა გამოძებნოს შესაძლებლობანი, რომ 1979-1980 წლებში აითვისონ „სოფსის“ მასივის 1.000 ჰექტარი დაჭაობებული მიწა. მეათე ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობის გადაუპარბებით, ხოლო ორული დაშრობის (2.500 ჰექტარი) სამუშაოები შეიტანონ კოლეგიების დაბლობის ათვისების გეგმაში.

რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ უნდა უზრუნველყოს რძის საკვებელი აგრეგატის დადგმა, შრომატევადი პროცესების სამექანიზაციო მოწყობილობის დამონტაჟება, საკვების საამქროების მშენებლობა, 1979 წელს დამონტაჟოს საკვების დასაბრიკეტებელი აგრეგატი სოფელ სუფსაში, 1978-1980 წლებში კი აშენოს და ათადგინოს ფერმისპირა გზები, 1979 წელს დაამთავროს მანქანა-ტრაქტორების პარკის ტექნიკური მომსახურების სადგური მშენებლობა, 1980 წლისათვის შექმნას მეცხოველეობის თერმების ტექნიკური მომსახურების სადგური.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანების დადებითი ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ლანჩხუთის მეცხოველეობის რაიონულ განყოფილებასთან შეიქმნას შიდასამეურნეო საწრობი ქსელის მომსახურების სპეციალიზებული ტექნიკური სამსახური, და „საქბაიერგზის“ სამმართველოს ინიციატივა, რომ დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ლოკალური საინფორმაციო სისტემა.

დადგენილებით გათვალისწინებულია რაიონის დამრობილ და საიქსპლოატაციოდ გადასაცემ მიწებზე მოიწყოს მსხვილი საკვებწარმოების ბაზა, აშენდეს სიმინდის მარცვლის სახმობელები, განმტკიცდეს მოძრავი მექანიზებული რაზმისა და საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დასახულია თერმების ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქციის ღონისძიებები, ქვესადგურების მშენებლობა, ბარეულის ჭიბის მოწყობა. რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებმა, მთელმა რიგმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშაონ რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გენერალური სქემა სამეურნეობათშორისო მიწათმოწყობის გათვალისწინებით, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მინდვრის კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და სიმინდის და სოიოს მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის ლანჩხუთის რაიკომს სოფლად ყველა ფორმის ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობა დაუქვემდებაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აამაღლოს ინტერესებს, გაადიდოს ყველა სახეობის საკვების წარმოება 1980 წელს 25 ათას ტონამდე, შემდგომში კი 45 ათას ტონა საკვებ ერთეულამდე; 1980 წლისათვის გაზარდოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 9,5 ათასამდე, ღორის საერთო სულადობა კი 15 ათასამდე; უზრუნველყოს, რომ 1980 წლისათვის აწარმოონ ხორცი 1,3 ათას, ხოლო შემდგომში — 3,5 ათას ტონამდე, რძე შესაბამისად — 5,5 და 8 ათას ტონამდე, კვერცხი — 3,5 და 7 მილიონ ცალამდე; გაადიდონ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა — 2 ათასი და 2.200 კილოგრამამდე.

(საქინფორმი).

მუშაობის ლენინური სტილი — ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმი, მისი მკაფიოდ დასაბუთებული გადწყვეტილებები, პარტიულად პრინციპული ყურადღება კომუნისტური შშენებლობის ამ ეტაპზე მაღალი ორგანიზებულობისა და უმკაცრესი დისციპლინის ხაკითხებისადმი, ხელმძღვანელობის ყველა დონეზე პასუხისმგებლობისა და კომპეტენტურობის ამაღლების აუცილებლობისადმი, მოთხოვნა, რომ ჩვენი გეგეშები მივიჩნიოთ მთავარ იარაღად პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, განმსაზღვრელი გახდა ახალი წლის წინ გამართული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმისა და რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს მეშვიდე სესიისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ღრმად და კონკრეტულად გააანალიზა საიუბილეო წელს და ხუთწლედის ორი წლის ვანძილზე პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის შედეგები, მან ჩამოაყალიბა რესაუბლიკის პარტიული ორგანიზაციის 1978 წლის ამოცანები, რომლებსაც საფუძვლად დაედო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული დებულებები და დასკვნები.

დღეს უნდა გავიხსენოთ, რომ გასული ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი ჩვენს რესპუბლიკაში შეადგენდა მხოლოდ ხუთ პროცენტს, მიმდინარე ხუთწლედის ორ წელიწადში კი ეს მაჩვენებელი 13 პროცენტამდე გაიზარდა. 1971-1972 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მთლიანი პროდუქციის წარმოება 8,6 პროცენტით დაბალი იყო 1970 წლის დონესთან შედარებით, საიუბილეო წელს კი მთლიანი პროდუქციის მოცულობამ 8,4 პროცენტით გადააჭარბა ყველაზე მოსავლიანი 1975 წლის დონეს. მეათე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდამ შეადგინა ოთხი პროცენტი, მუშათა საშუალო-თვიური ხელფასი 5 პროცენტით და მეტად გაიზარდა, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 6,5 პროცენტით. რესპუბლიკის ეკონომიკის ძირითად დარგებში მოპოვებულმა წარმატებებმა გაზარდა საერთოდ მისი ეკონომიური პოტენციალი, უზრუნველყო ზოგადეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა. ის, რასაც მივაღწიეთ, იმ უდიდეს ღონისძიებათა შედეგია, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა მოთხოვნების შესასრულებლად გრძელსა და ფაქიზ გზაზე.

ყოველივე ამან არ შეიძლება არ გაახაროს რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი. სრულიად სამართლიანად ვამაყობთ იმითაც, რომ უკრაინელ მხვლელ-მთესველებთან და უზბეკ მებამბეებთან ერთად ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რიგებში დაიმკვიდრეს ადგილი საქართველოს მეჩაიეებმა. სასიხარულოა ჩვენი წარმატებანი რესპუბლიკის სოციალურ და კულტურულ განვითარებაში. მაგრამ კომუნისტებს აქვთ ურყევი კანონი: ყველა თავიანთი გუნდნილი თუ დღევანდელი მოღწევა შეუფარდონ ხვალინდელი დღის ამოცანებს. აი რატომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე ახე მწვავედ დასვა საკითხი, რომ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს საერთო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების შედარებით ჩამორჩენის კიდევ უფრო შემცირება. საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯები შევიქმნათ მთლიანად შეათე ხუთწლედის უოუო და წარმატებულ შესრულებას. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელ თავიანთ პოლიტიკურ და ორგანიზაციურ მუშაობას საფუძვლად უნდა დაუდონ შემდეგი: რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1978 წლის გეგმით დასახული მიჯნები მიიჩნიონ მინიმალურად; შემოქმედებითად და გამიზნულად ეძებონ შიდასამეურნეო რეზერვები და შესაძლებლობანი საგეგმო დავალებათა მნიშვნელოვანი ნაწილის ზეგეგმით ადრეადა, ხუთწლედის მესამე წელს შრომითი კოლექტივები დარაზმონ 160 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის საწარმოებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მაღალი ორგანიზებულობა მუშაობის ყველა სფეროში. ამ მოთხოვნას, რომ ასრულებენ, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ მაღალი ორგანიზებულობის დამყარება საკუთარი რიგებიდან, საკუთარი საქმიანობიდან უნდა დაიწყოს. ამავე დროს ეს შეეხება ყოველივე იმას, რაც საგეგმო დისციპლინის დაცვას უკავშირდება. სრულიად შეუწყნარებლად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა სამეურნეო ხელმძღვანელმა ფორმალურ-ბიუროკრატიულად აღიქვა მოწოდება — ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვაყვედეს ჩამორჩენილი საწარმოები — და ოვით გეგმების შეცირების გზას დაადგა. მაგრამ კიდევ უფრო შეუწყნარებელია ის, რომ ამგვარ ვაშეურნეებს ამყვა ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელიც. სამინისტროებთან და უწყებებთან ურთიერთობის გამწვავების შიში, თავიანთ შრომის ოლქერებში ეფთილი და სახურველი კაცის სახელის მოპოვების წყურვილი, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი უპრინციპო მიდგომა უდიდეს ზიანს აყენებს რესპუბლიკის მთელ ეკონომიკურ და სოციალურ ორგანიზმს. ეს მანკიერი პრაქტიკაა, და ამას ბოლო უნდა მოეღოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ახლახან დამთავრებულ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს კომუნისტები იწონებდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყველა პარტიული კომიტეტის საქმიანობას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესასრულებლად და ამავე დროს ღრმად და კრიტიკულად აანალიზებდნენ ბევრი პარტიული ორგანიზაციისა და სამეურნეო ხელმძღვანელის მუშაობას. კომუნისტებმა გადაჭრით მოითხოვეს, რომ ყველა რგოლში, ყველა დონეზე დამკვიდრდეს მუშაობის ლენინური სტილი. პარტიული ორგანიზაციების, როგორც შრომითი კოლექტივების პოლიტიკური ბირთვის, საქმიანობაში ეს სტილი იმას გულისხმობს, რომ ყველაზე შეუქმნათ მაღალი მოთხოვნელობისა და მეღწეულით დაუკმაყოფილებლობის ვითარება, უნარიანად გამოვიყენოთ ეკონომიკური ანალიზის მოსაცემები, მოჯინავე გამოცდილება, არ გაგვწიოთ სამეურნეო ორგანოების მაბივრობა, წვრილმანი მეურვეობა კი არ გავუწიოთ მათ, არამედ მტკიცედ დავიცვათ კრიტიკი: თითოეული კასუხს აგებს მინდობილი საქმისათვის, თითოეული ასრულებს მისთვის დაკისრებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს.

ამოცანა ის არის, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი გამოცდილება მოახმარონ წარმოების უშუალო მართვისა და შრომის საბოლოო შედეგებისათვის სახოფლო და სამეურნეო ორგანოების საწარმოთა ადმინისტრაციის კასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას. მუშაობაში ნამდვილი პარტიული სტილის მაგალითი უნდა გვიჩვენონ დარგების ხელმძღვანელებმა, რომლებიც სამეურნეო მშენებლობის შესაბამის უბანზე პარტიის სრულუფლებიან და პოლიტიკურ წარმომადგენლებად გვევლინებიან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ასე დაისვა საკითხი — ამ მაღალი სიზუმით უნდა იხელმძღვანელონ რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებსა და პარტიულ კომიტეტებს საგანგებოდ მიუთითა, რომ მთავარი ყურადღება დაუთმონ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობის გაძლიერებას. სწორედ აქ უნდა გადმოვატანოთ მთელი პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრი იმ ვარაუდით, რომ ყველა ჩვენი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული ღონისძიება ზუსტად ემსახურებოდეს სამეურნეო მშენებლობის საქმეს, იმ ხოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც დღენადაგ სახავს ჩვენი ცხოვრების სწრაფი რიტმი. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თითოეულმა კომუნისტმა ღრმად და ყურადღებით შეისწავლოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის მასალები. ამ მასალებს პირველადი პარტიული ორგანიზაციები მალე მიიღებენ. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერი პარტიული დოკუმენტის შესწავლა თვითმიზანი კი არა, იმის საშუალებაა, რომ ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყოველმა კომუნისტმა კონკრეტულად და კეთილსინდისიერად გააანალიზოს საქმის მდგომარეობა საკუთარ შრომითს კოლექტივში, ზუსტად განსაზღვროს თავისი ამოცანები 1978 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭრებით შეარულებაში, დასახოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის, თითოეულ სამუშაო ადგილას მაღალი ორგანიზებულობისათვის ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი გზები. რესპუბლიკის კომუნისტები უნდა განიმსჭვალონ დეკემბრის პლენუმის მაღალი სულისკვეთებით — პარტიული მიზანდასწრაფვის სულისკვეთებით, ჩვენ წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების მკაფიო გაგების სულისკვეთებით, საერთო საქმის გადასაჭრელად ერთ-ერთ საქმის გადასაჭრელად ერთ-ერთ საქმის გადასაჭრელად ერთ-ერთ საქმის

1978 წელი რესპუბლიკის თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში იმ ეტაპიური მოგლენების წინაადმდეგ შემდგომი ფართო შემოქმედების წელი უნდა გახდეს, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ცხოვრებაში. განსაკუთრებით მწვავედ უნდა გავშალოთ ეს ბრძოლა ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში. ამ მიზნით პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი კომისიები მოვალენი არიან უკვე დღესვე ხელავდნენ თავიანთი საქმიანობის პერსპექტივას, მოვალენი არიან თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ ზუსტი გაანგარიშება, ყველა მისი ასპექტი დაუქვემდებარონ ახალი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების ინტერესებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა პარტიული კომიტეტების უფრალდება იმას მიაპყრო, რომ დისციპლინის დამრღვევთა, ჩამორჩენილთა წინააღმდეგ ბრძოლა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და შეტევითი ხასიათი მივანიჭოთ. გვერდი არ უნდა ავუაროთ მომხვეჭელობისა და პროგეკციონიზმის, მეძრთამლობისა და მოვალეობის შესრულებაში დაუდევრობის. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნებს არც ერთ ფაქტს.

პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებიდან, იანვრის განავლობაში განიხილავენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები. ისინი იმსჯელებენ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის მასალებზეც. ამოცანა ის არის, რომ ამ განხილვის მსვლელობაში უაღრესად ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ ხუთწლედის მესამე წელს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში. ღონისეულად შევაფასოთ მიღწეული, თვალი არ ავარიდოთ ვიწრო ადგილებს, მკაცრად და თანამიმდევრულად განვსაზღვროთ შუამბის თითოეულ უბანზე ხელმძღვანელობის ეფექტიანობა და ხარისხი — აი რა მოგვეთხოვება ახალი სამუშაო წლის სტარტზე.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა ადამიანები 1978 წელს დამკვრელური შრომის წლად ვადაკაცევენ და ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ისტორიული ამოცანების შესრულებაში. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის თითოეულმა კომუნისტმა ეს მიიჩნიოს საბრძოლო მოწოდებად, რომ იმუშაონ დღეს გუშინდელზე უკეთ და ხვალ — დღევანდელზე უკეთ. ეს არის საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ყველა დარგში ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებების საწინდარი.

ყოველი დღე — მხოლოდ დაპკვრელური!

ხუთწლედის ადამიანები

უსანიშნავი შრომითი წარმატებებით შეხვდა ახალ წელს ჭიათურის სათამადნო კომბინატის კოლექტივი. 19 დეკემბერს მაღაროელებმა შეასრულეს ხუთწლედის ორი წლის გეგმა. საიუბილეო წელს ჩვენმა ქვეყანამ წლიური დავალების გადაჭარბებით ორი მილიონი მანეთის პროდუქცია მიიღო.

მაღალ მიჯნებს მიაღწიეს ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკის კოლექტივმა. 21 დეკემბრისათვის გამოშვებულია 843.700 ტონა მანგანუმის კონცენტრატი, რის შედეგადაც შესრულდა საიუბილეო წლის გეგმა.

გამამდიდრებლებმა ხუთწლედის მეორე წელს აწარმოეს 24 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი. წლის პირველ დღეებში უკვე გამოშვებულია 22 ტონა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი მანგანუმის კონცენტრატი. ხუთშუმზე: ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკის დირექტორი ი. აბულაძე (მარჯვნიდან მეორე) დავალებას აძლევს მთავარ ინჟინერს ტ. ბუაძეს, მექანიკოსებს ა. მოღებაძესა და რ. ტყემალაძეს.

ა. მაჰპაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„სალუტ-6“: ფრენის ყოველდღიურობა

ფრენის მართვის ცენტრი, 4 იანვარი. (საკგისი). კოსმონავტები იური რომანენკო და გეორგი გრეჩკო განაგრძობენ მუშაობას „სალუტ-6“ პილოტირებულ სამეცნიერო სადგურზე. ბიოლოგიური კვლევის პროგრამის მიხედვით დამთავრდა კოსმოსური ფრენის ფაქტორების ზემოქმედებით ფაღმხმელეთოთვანთა განვითარების შესწავლის ექსპერიმენტი. ბიოლოგიური ობიექტები ფიქსირებულია. შემდეგ მათ დედამიწაზე ჩამოიტანენ ლაბორატორიულ პირობებში ანალიზისათვის. გრძელდება ქლორელის, აგრეთვე ზოგიერთი სახეობის მწვრას განვითარების შესწავლის ექსპერიმენტები უწონობაში ხანგრძლივი ყოფნის პირობებში.

ეკიპაჟის დღევანდელი სამუშაო დღე ჩვეულებრივად დაიწყო დილის 8 საათზე. ამ დროს სადგური მიფრინავდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ. საუზმისა და სამედიცინო კონტროლის შემდეგ კოსმონავტები გათვალისწინებული პროგრამით მუშაობენ.

ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-6“ სადგური ფრენას განაგრძობს.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თარგაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1978 წლის 1 აპრილიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონს „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონს „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 29 დეკემბერი.

მომავლის ახალი მიჯნები

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები მეათე ხუთწლედის მესამე წლისათვის კისრულობენ გადადებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. ისინი პირობას დებენ, რომ დღეს იმუშავებენ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ შრომითი კოლექტივების ვალდებულებებს:

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის მეორე წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. და 20 დეკემბერს უპატაკის სმაწობლოს გეგმის შესრულება.

საწარმოს მუშაკებმა გადაწყვიტეს 1978 წელსაც ამრომონ ტექნიკის შეფასებლად. ისინი ყველა გულმოდგინედ იძებენ რეზერვებს, და მხურვალედ გამოეხმაურნენ მოწოდებას, რომ ხუთწლედის მესამე წელი დამკვრელური შრომის წლად გადაქცონ. ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს:

1978 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულოს ვადამდე, 28 დეკემბრისათვის.

რეზერვების, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების გზით უზრუნველყოს 11 დეკემბრისათვის ხუთწლედის სამი წლის გეგმის შესრულება.

1977 წელთან შედარებით 7,5 პროცენტით გაზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მიიღოს 200 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

1977 წელთან შედარებით 2,5 პროცენტით შეამციროს დანაკარგები წუნის შედეგად.

ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გადასინჯვისა და დანერგვის გზით წარმოების შრომატევადობა შეამციროს 105 ათასი ნორმა-საათით.

მიიღოს სულ ცოტა 900 ათასი მანეთი ეკონომია წარმოებაში, რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვის გზით.

მომამზადოს 450 ახალი მუშა, აუმაღლოს 2.620 მუშას, 315 ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკის კვალიფიკაცია, მომამზადოს 250 მაღალი კვალიფიკაციის მუშა, ეკონომიკური სწავლებაში ჩააბას 3 ათასი კაცი.

ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებენ იარეთერი ნოვებერში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მშენებლობის დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას, 17 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის აშენებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას, კულტურის სახლის მახლობლად მდებარე სკვერის „ეთილმოწყობას, სამეფო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გაწევას.

კოლექტივმა გადაწყვიტა იბრძოლოს, რომ ქარხანას მიენიჭოს „წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს“ წოდება.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“

მიაღწიოს შრომითი კოლექტივის ყველა რგოლში სახელმწიფო, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებასა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

უზრუნველყოს ხუთწლედის სამი წლის დავალებათა შესრულება I დეკემბრისათვის, ხოლო სახალონო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და გამოშვების წლიური გეგმისა — 26 დეკემბრისათვის, ამასთან 1977 წელთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპი გაადიდოს 4,2 პროცენტით.

უზრუნველყოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გამოშვების გეგმის 1,5 პროცენტით გადაჭარბება.

მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენებისა და თითოეული მუშაკის საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლების გზით მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების გეგმის გადაჭარბებით 1 პროცენტით ზრდას.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა 1977 წლის 19 პროცენტის ნაცვლად გაზარდოს პროდუქციის საერთო მოცულობის 25 პროცენტამდე.

ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ღონისძიებების დანერგვის, ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისა და სხვა ღონისძიებათა გზით მიაღწიოს წარმოების შრომატევადობის შემცირებას 430 ათასი ნორმა-საათით.

რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვის შედეგად დაზოგოს წელიწადში 430 ათასი მანეთი.

**წარმოებისა და შრომის ორგანიზა

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ისტორიისა და კულტურის ძეგლები ხალხის კუთვნილებაა. საბჭოთა სახელმწიფო, ხელმძღვანელობს რა კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ლენინური პრინციპებით, ყველა პირობას ქმნის კომუნისტური შენებლობის, ინტერნაციონალიზმის ძეგლების დაცვისა და ეფექტურად გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და კულტურის შემადგენელი ასახავენ წინა თაობათა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ხალხის მასების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რევოლუციურ მოძრაობას, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარებას.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებში ხორცშესხმულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მნიშვნელოვანი მოვლენები, მეშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითი გმირობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და კულტურის ძეგლები მსოფლიოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, მოწმობენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ოდდეს წვლილს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

სსრ კავშირში ემსახურებიან მეცნიერების, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა პატრიოტიზმის, მაღალი გრძნობების, ჩამოყალიბების, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის მიზნები.

ძეგლების დაცვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა გაუფრთხილდეს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

საბჭოთა კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების საქმის გაუმჯობესებას, ამ დარგში კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ისტორიისა და კულტურის ძეგლები

ისტორიისა და კულტურის ძეგლები ნაგებობანი, სამახსოვრო ადგილები და ნივთები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან ხალხის ცხოვრებაში და საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებასთან, მატერიალური და სულიერი შემოქმედების ნაწარმოებები, რომლებიც ისტორიული, სამეცნიერო, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულება აქვთ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ისტორიისა და კულტურის ყველა ძეგლს სახელმწიფო იცავს.

მუხლი 2. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის ამოცანები

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შედგება „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, ამ კანონისაგან და ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 4. საკუთრება ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე

ისტორიისა და კულტურის ძეგლები წარმოადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას, აგრეთვე კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას და მოქალაქეთა პირად საკუთრებას.

მიწაში, მის ზედაპირზე, წყალში, ძველ ნაგებობებში ან მათ ნაწილებში აღმოჩენილი ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული და სხვა კულტურული ღირებულების მქონე საგანი, რომელთა მესაკუთრე ვინაობა არ შეიძლება დადგენილ იქნეს ან თუ მესაკუთრემ კანონს ძალით დაკარგა მათზე უფლება, — წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, თუკი კანონი სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს.

მუხლი 5. ისტორიისა და კულტურის ძეგლების გასხვისებას წესი

ისტორიისა და კულტურის ძეგლების გაყიდვა, გაჩუქება ან სხვა წესით გასხვისება დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისთვის ეფექტიანი წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ძეგლების გაყიდვის შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს შესყიდვის უპირატესი უფლება.

მუხლი 6. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სახეები

ისტორიისა და კულტურის ძეგლებს ამ კანონის I მუხლის შესაბამისად მიეკუთვნება:

ისტორიის ძეგლები — შენობები, ნაგებობები, სამახსოვრო ადგილები და ნივთები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებთან, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებასთან, რევოლუციურ მოძრაობასთან, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასთან, სამოქალაქო და დიდ სამამულო ომებთან, სოციალისტურ და კომუნისტურ შენებლობასთან, საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებასთან, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის, ხალხთა კულტურისა და ყოფის განვითარებასთან, გამოჩენილი პოლიტიკური, სახელმწიფო, სამხედრო მოღვაწეების, სახალხო გმირების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების ცხოვრებასთან;

არქეოლოგიის ძეგლები — ნაქალაქარები, ყორღანები, ძველი დასახლებების, ციხე-სიმაგრეების, საწარმოების, არხების, გზების ნაშთები, ძველი სამაროვნები, ქვის ქანდაკებები, კლდეზე გამოსახულებები, ძველებური ნივთები, ძველი დასახლებული პუნქტების ისტორიული უბნები და კულტურული ფენები;

ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლები — არქიტექტურული ансამბლები და კომპლექსები, ისტორიული ცენტრები, კვარტალები, მოედნები, ქუჩები, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ძველი დაგეგმარებისა და განშენიანების ნაშთები; სამოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო, საკულტო არქიტექტურის, ხალხური ხუროთმოძღვრების ნაგებობანი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მონუმენტური, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი, ბაღ-პარკის ხელოვნების ნაწარმოებები, ბერნებრივი ლანდშაფტები;

ხელოვნების ძეგლები — მონუმენტური, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხელოვნების სხვა სახეობათა ნაწარმოებები;

დოკუმენტური ძეგლები — სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტები, სხვა წერილობითი და გრაფიკული დოკუმენტები, კინოფოტოდოკუმენტები და ხმის ჩანაწერები. აგრეთვე ძველი და სხვა ხელნაწერები და არქივები, ფოლკლორისა და მუსიკის ჩანაწერები, ინვიათი ნაბეჭდი გამოკვლევები.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებს შეიძლება მიეკუთვნოს გამოქვაბულები, წყლის, გადამცემი ნაგებობები, მეგალითური ნაგებობანი, ტერასები, საწნახლები, ღვინის საცავები (მარნები), ძველი საბრძოლო იარაღი, სამეფონო იარაღები, კერამიკული ნაკეთობანი, ხეზე ჭედილობა, ნაჭედი და ნაქსოვი ნაკეთობანი და სხვა ობიექტები, რომელთაც ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულება აქვთ.

მუხლი 7. სახელმწიფო მართვა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში სახელმწიფო მართვას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც აქვთ სპეციალური რწმუნებულებანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების სპეციალურად რწმუნებული სახელმწიფო ორგანოებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ხოლო დოკუმენტური ძეგლებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო და მათი ორგანოები ადგილებზე.

სპეციალურად რწმუნებული სახელმწიფო ორგანოების მეთაურებანი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების საკითხებზე საგალდებულოა ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, აგრეთვე მოქალაქეებისათვის.

მუხლი 8. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენცია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენას, აღრიცხვას, დაცვასა და გამოყენებას, ჩაატარებენ საზოგადოებრივობის ძეგლების დაცვის, გამოყენებისა და პროპაგანდის ღონისძიებათა ჩატარებაში, ორგანიზაციას უწევენ ძეგლების მიმართ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების შეფობას, უზრუნველყოფენ ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

მუხლი 9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კომპეტენცია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო დაცვას, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ-ში ძეგლების აღრიცხვის, დაცვის, რესტავრაციის, გამოყენებისა და პროპაგანდის საქმეს, ახორციელებს ამ საქმის დაყენების კონტროლს რესპუბლიკაში.

მუხლი 10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს კომპეტენცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მეშვეობას დოკუმენტური ძეგლების გამოვლენისა და შეგროვების საქმეში. სახელმწიფო არქივებში შენახული დოკუმენტური ძეგლების აღრიცხვას, დაცვას, რესტავრაციას, გამოყენებასა და პროპაგანდას, აგრეთვე აღრიცხვას იმ დოკუმენტურ ძეგლებს, რომლებიც იმყოფება სხვა უწყებების განკარგულებაში ან წარმოადგენს მოქალაქეთა პირად საკუთრებას და განახორციელებს კონტროლს მათ შენახვაზე.

მუხლი 11. სახელმწიფო კონტროლი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებაზე

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა, უზრუნველყოს ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ორგანიზაციის, დაწესებულების და მოქალაქის მიერ ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის დადგენილი წესების შესრულება, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესების დაცვა.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები და საამისოდ სპეციალურად რწმუნებული სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლებთან დაკავშირებული გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ობიექტების დაცვა და გამოყენება

ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ძეგლებთან დაკავშირებული ბუნების ძეგლებისა და გარემომცველი ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების დაცვის და გამოყენებას უზრუნველყოფენ ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოები აუცილებელ შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 13. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპეტენცია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების დარგში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად უზრუნველყოფს მისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვას და გამოყენებას და ასრულებს აკადემიის წესდებითა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 14. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მონაწილეობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

სახელმწიფო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციები ხელს უწყობენ ძეგლების დაცვის ორგანოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენების, გამოვლენის, აღრიცხვისა და რესტავრაციის ღონისძიებათა განხორციელებაში, მათ შესახებ ცოდნის გავრცელებაში.

საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს შეუძლიათ შეფობა დააწესონ ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე.

მუხლი 15. კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების ორგანოთა და დაწესებულებათა მონაწილეობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდასა და პოპულარიზაციაში

კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების ორგანოები და დაწესებულებები აქტიურად მონაწილეობენ მოსახლეობაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათ შესახებ ცოდნის გავრცელებას ბავშვებსა და ახალგაზრდობას შორის, ხელს უწყობენ მოსახლეობის ჩაბმას ძეგლების დაცვის საქმეში.

მუხლი 16. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოებები, შემოქმედებითი კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენების, გამოვლენის, აღრიცხვის, რესტავრაციის ღონისძიებათა განხორციელებაში, მათ შესახებ ცოდნის გავრცელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ისტორიისა და კულტურის ძეგლების შენახვის უზრუნველყოფად მიმართულ მუშაობაში ამ ორგანიზაციების წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცულობისათვის ზრუნვა მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა.

სახელმწიფო ორგანოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში მოქალაქეები ხელს უწყობენ აუცილებელ სამუშაოებში უშიშარი მონაწილეობით, ძეგლების დაცვისა და გამოყენების საქმის გაუმჯობესების შესახებ წინადადებათა შეტანით და ძეგლების გამოყენებისა და დაცვის წესების მათთვის ცნობილ დარღვევათა შეტყობინებით.

მუხლი 17. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების მონაწილეობა ძეგლების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება ჩაებმის მოსახლეობის ფართო მასების ძეგლების აქტიურად და უშუალოდ დაცვის საქმეში. ეწევა ძეგლების და მათი დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის პროპაგანდას, აქტიურად უწყობს ხელს ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოების მუშაობას, ახორციელებს საზოგადოებრივ კონტროლს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცულობასა და სწორად გამოყენებაზე, იხმარება საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე შეფობის დაწესებაში.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება მონაწილეობს ისტორიისა და კულტურის ძეგლების შენახვის უზრუნველსაყოფად მიმართულ მუშაობაში თავისი წესდებისა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

II. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა

მუხლი 18. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვის ორგანიზაცია

ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მათი კუთვნილების მიუხედავად, ექვემდებარებიან სახელმწიფო აღრიცხვას.

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 19. ისტორიისა და კულტურის ძეგლების მიკუთვნება საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებისათვის

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის ორგანიზაციის მიზნით უძველესი ძეგლები იყოფა საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებად.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების მიკუთვნება საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური ან ადგილობრივი მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლებისათვის ხდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სია

რესპუბლიკური მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარდგენით.

ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურისა და ისტორიის ძეგლების სიას ამტკიცებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარდგენით, რაც შეთანხმებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან.

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიიდან ობიექტების ამორიცხვა დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

მუხლი 21. მუზეუმებში, ბიბლიოთეკებსა და არქივებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა წარმოებს სსრ კავშირის საგუზეუმო და საარქივო ფონდის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 22. მოქალაქეთა პირადი საკუთრების ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვა

მოქალაქეთა პირადი საკუთრების ძველებური ნივთები, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ნაგებობები, ხელნაწერები, კოლექციები, ფშვნათი ნაბეჭდი გამოცემები, სხვა ნივთები და დოკუმენტები, რომელთაც განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულება აქვთ, იხადიდა ისტორიისა და კულტურის ძეგლებად და ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას ძეგლების უფრო სრული გამოვლენისა და მათი დაცვის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობის მიზნით.

მოქალაქეები, რომელთაც პირად საკუთრებად აქვთ ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მოვალენი არიან დაიცვან ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესები.

III. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფა. ძეგლების გამოყენების წესი და პირობები

მუხლი 23. ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენება

ისტორიისა და კულტურის ძეგლები გამოიყენება მეცნიერების, სახალხო განათლების და კულტურის განვითარების, პატრიოტული, იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის მიზნით.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენება სამეურნეო და სხვა მიზნით დაიშვება, თუ ეს ზიანს არ აყენებს ძეგლების დაცვას და არ ვნებს მათ ისტორიულ-მხატვრულ ღირებულებას.

მუხლი 24. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სარგებლობისათვის გადაცემის წესი

სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს და პირებს სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტული და სხვა მიზნებით სარგებლობისათვის ისტორიისა და კულტურის ძეგლები გადაეცემა იმ წესით და პირობების დაცვით, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

საარენდო გადასახადის განაკვეთებს იმ შენობებითა და ნაგებობებით სარგებლობისათვის, რომლებიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებს განეკუთვნებიან, ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 25. ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენებით მიღებული სახსრების ხარჯვის წესი

ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენებით მიღებული ფულადი სახსრები, აგრეთვე ამ კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად მიღებული სახსრები, დადგენილი წესით ჩაირიცხება ძეგლების დაცვის იმ სახელმწიფო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, რომელთა გამგებლობაშია ძეგლები და მოხმარდება მხოლოდ ძეგლების დაცვის, რესტავრაციის, კონსერვაციისა და რემონტის ღონისძიებებს.

მუხლი 26. იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოვალეობები, რომელთა საკუთრებაში ან სარგებლობაშია ისტორიისა და კულტურის ძეგლები

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა საკუთრებაში ან სარგებლობაშია ისტორიისა და კულტურის ძეგლები. პასუხს აგებენ მათი დაცვისათვის და მოვალენი არიან შეასრულონ ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესები.

მუხლი 27. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენებისა და რესტავრაციის წესების დადგენა

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენებისა და რესტავრაციის წესები განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 28. ისტორიისა და კულტურის ძეგლების ჩამორთმევა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის

ისტორიისა და კულტურის ძეგლები, რომლებსაც იყენებენ არა მათი ხასიათისა და დანიშნულების შესაბამისად და ექნებათ განადგურების ან გაფუჭების საფრთხე, შეიძლება ჩამოერთვას საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. მოქალაქეთა კუთვნილი ისტორიისა და კულტურის ძეგლების ჩამორთმევის წესი

თუ მოქალაქე ვერ უზრუნველყოფს მისი კუთვნილი ისტორიისა და კულტურის ძეგლის დაცულობას, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად მას სასამართლო წესით შეიძლება ჩამოერთვას ეს ძეგლი სათანადო ანაზღაურებით.

თუ მოქალაქე ისტორიისა და კულტურის ძეგლებს სისტემატურად იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად მას შეიძლება უსასყიდლოდ ჩამოერთვას ეს ძეგლი სასამართლო წესით.

მუხლი 30. სარგებლობისათვის გადაცემულ მიწებზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფა

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები მოვალენი არიან უზრუნველყონ მათ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთებზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცულობა.

მუხლი 31. ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაცია, კონსერვაცია და რემონტი

ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტაურაცია, კონსერვაცია და რემონტი ხორციელდება მხოლოდ ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოების ნებართვით და მათი კონტროლით.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაციის, კონსერვაციისა და რემონტის პროექტები შეთანხმებულ უნდა იქნეს ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებთან.

ძეგლების რესტავრაცია, კონსერვაცია და რემონტი წარმოებს ძეგლების მოსარგებლეთა ან მესაკუთრეთა ხარჯზე, აგრეთვე ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოების ხარჯზე.

მუხლი 32. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონები

ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობის და არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით წესდება დაცვის ზონები, განაშენიანების რეგულირების ზონები და დაცული ბუნებრივი ლანდშაფტის ზონები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიიდან ობიექტების ამორიცხვა დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

მუხლი 33. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის მიზნით სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის შეზღუდვა

თუ ისტორიისა და კულტურის ძეგლებთან მიმდებარე გზებზე ან იმ გზებზე, რომლებიც მათი დაცვის ზონებზე გადიან, სატრანსპორტო საშუალებების, თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობა საფრთხეს უქმნის ძეგლების ირსებობას, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სატრანსპორტო საშუალებების, თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობა ასეთ გზებზე შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს.

მუხლი 34. ისტორიულ-კულტურული ნაკრძალების დაცვა

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე ისტორიის და კულტურის ძეგლების ანსამბლები და კომპლექსები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით შეიძლება გამოცხადდეს ისტორიულ-კულტურულ ნაკრძალებად, რომელთა დაცვა ხორციელდება თითოეული მათგანის შესახებ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

დებულება იმ ისტორიულ-კულტურული ნაკრძალის შესახებ, რომელიც ასეთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოაცხადა, მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 35. ისტორიისა და კულტურის ახლად გამოვლენილი ძეგლების დაცვა

ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე ახლად გამოვლენილი ობიექტები, მათი, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლების, სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანის საკითხის გადაწყვეტამდე, დაცული უნდა იქნეს „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ისტორიისა და კულტურის ახლად გამოვლენილი ძეგლების დროებითი დაცვის რეჟიმს განსაზღვრავს ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოები.

საფინანსო ორგანოები, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებები, რომლებსაც გადაეცა ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულების მქონე ახლად გამოვლენილი განძი და სხვა ობიექტები, მოვალენი არიან აცნობონ ამის შესახებ ძეგლების დაცვის შესაბამის ორგანოს, რომელიც დადგენილი წესით გადაწყვეტს საკითხს მათი, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლების, სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანისა და შემდგომი გამოყენების შესახებ.

იმ პირებს, რომლებმაც იპოვნეს და სახელმწიფოს ჩააბარეს ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულების მქონე განძი, მიეცემათ ჯილდო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 36. ისტორიისა და კულტურის ძეგლების მქონე ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანების და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმება ძეგლების დაცვის ორგანოებთან

იმ ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის პროექტები, რომელთაც აქვთ ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობის და არქიტ

კანონი
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც აწარმოებენ არქეოლოგიურ სამუშაოებს, მოვალენი არიან უზრუნველყონ ძეგლების დაცულობა.

გათხრისა და დაზვერვის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დადგენილი წესით აცნობონ გათხრისა და დაზვერვის შედეგები და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გადასცენ ისტორიისა და კულტურის აღმოჩენილი ძეგლები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელს უწყობენ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაში, ისტორიისა და კულტურის აღმოჩენილი ძეგლების დაცულობის უზრუნველყოფაში.

მუხლი 41. ისტორიისა და კულტურის ძეგლების შეკრება

ძველებური დოკუმენტური ძეგლების, ძველებური ფერწერისა და ძველებური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების შეკრება ორგანიზაციებს ან მოქალაქეებს იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ აქვთ დადგენილი წესით გაცემული და რეგისტრირებული სპეციალური ნებართვა.

მუხლი 42. ისტორიისა და კულტურის ძეგლების შეკრებისათვის სპეციალური ნებართვის გაცემა და რეგისტრაცია

საქართველოს სს რესპუბლიკაში ძველი ფერწერისა და ძველი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების შეკრებისათვის ორგანიზაციებს ან მოქალაქეებს სპეციალურ ნებართვას აძლევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და ამ ნებართვის რეგისტრაცია ხდება კულტურის შესაბამის ადგილობრივ ორგანოში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ძველი დოკუმენტური ძეგლების შეკრებისათვის ორგანიზაციებს ან მოქალაქეებს სპეციალურ ნებართვას აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო და ამ ნებართვის რეგისტრაცია ხდება შესაბამის ადგილობრივ საარქივო ორგანოში.

მუხლი 43. ისტორიის და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ გატანის აკრძალვა

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად ისტორიისა და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ გატანა აკრძალულია. ამ წესიდან გამონაკლისი დაშვება მხოლოდ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებული ნებართვით, რომელიც გაიცემა სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 44. ისტორიისა და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დროებით გატანის წესი

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად საერთაშორისო კულტურული გაცვლის განვითარების მიზნით ნებადართულია ისტორიისა და კულტურის ძეგლების სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დროებით გატანა იმ წესებისა და პირობების დაცვით, რომელთაც თითოეულ შემთხვევაში სპეციალურად ადგენს სსრ კავშირის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 45. საქართველოს სს რესპუბლიკაში დროებით შემოტანილი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა

შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, კულტურული გაცვლის მიზნით, საქართველოს სს რესპუბლიკაში დროებით შემოტანილი უცხოეთის სახელმწიფოების, ორგანიზაციებისა და პირების კუთვნილ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს სახელმწიფო იცავს.

IV. პასუხისმგებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 46. პასუხისმგებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესების შეუსრულებლობაში, მათი დაცვის ზონების რეჟიმის დარღვევაში, აგრეთვე ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებში, ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 47. ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღდგენა და ზარალის ანაზღაურება ძეგლის დაზიანების შემთხვევაში

საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება და მოქალაქე, რომელმაც დაიზიანა ისტორიისა და კულტურის ძეგლი ან მისი დაცვის ზონა, მოვალეა წინანდელ მდგომარეობაში აღადგინოს ძეგლი ან მისი დაცვის ზონა, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, აანაზღაუროს მიყენებული ზარალი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად. ძეგლის ან მისი დაცვის ზონის აღდგენა ხორციელდება ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაციის დადგენილი წესების დაცვით.

თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა მიზეზით საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღეს, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

V. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 48. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ისტორიისა და კულტურის ძეგლების შესახებ

თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კანონმდებლობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 29 დეკემბერი.

საგაზეთო თემაზე

გაუბედავი კრიტიკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ რესპუბლიკურ და რაიონულ გაზეთებს, მათ შორის მარნეულის რაიონულ გაზეთს „ახალი მარნეულსა“ და ფოთის საქალაქო გაზეთს „ახალ კოლხეთს“. ამ გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება მასალები მოსახლეობის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაზეთმა „ახალმა მარნეულმა“ გამოაქვეყნა 22 მასალა, „ახალმა კოლხეთმა“ გაცილებით მეტი, მაგრამ, ისმება კითხვა, რამდენად ღრმად აანალიზებენ ეს მასალები არსებულ მდგომარეობას, ეხმარებიან თუ არა ისინი ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს საწარმოთა კოლექტივებს. არსებული რეზერვების გამოყენებაში, მუშაობის გარდაქმნაში?

გაზეთები ბეჭდავენ მასალებს იმის შესახებ, რომ მარნეულის რაიონისა და ქალაქ ფოთის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა მომხმარებელთა მოტყუების, ფასების დამახინჯების, გამომძალვის, დეფიციტური საქონლის გადამალვის და სხვა ფაქტები. მაგრამ ბევრი მასალა დაწერილია ბაბლონურად, მხოლოდ მშრალად არის აღნუსხული ფაქტები. მათში თითქმის არ არის გაანალიზებული ფაქტების მონაცემები, რეკომენდაციები დარღვევათა პროფილაქტიკისა და აღკვეთის შესახებ.

ხშირად გაზეთები გაბედულად, საქმიანად არ აკრიტიკებენ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობას და მკითხველს ანდობენ დასკვნების გამოტანას. მაგალითად, 16 ივნისს „ახალ მარნეულში“ გამოქვეყნდა მასალა „ვისაც უნდა ტარანი“, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარზე ბევრია სხვადასხვა პროდუქტი, მათ შორის ეს დეფიციტური თევზიც. ბოლოს გაზეთი სვამს კითხვას: განა დრო არ არის დაინტერესდეთ, თუ სად შოულობენ ამ საქონელს ისინი, ვინც თევზს მამასისხლად ჰყიდიან!

მართლაც რომ, საკითხავია, რატომ არ დაინტერესდა თვითონ გაზეთი ამ საქმით და მზის სინათლეზე არ გამოიყვანა სპეკულანტები, მათი დამხმარენი თუ ხელქვეითები. აქვე დაბეჭდილია ასეთივე მასალა — „აბა, ჯიგარი!“ თურმე სანამ მარნეულის საკოლმეურნეო ბაზართან მიხვალთ, იქ, სადაც პავილიონია, ყოველდღიურად ნახავთ ხუთ-ექვს კაცს, რომლებიც ხორცით ვაჭრობენ. და გაზეთი კვლავ სვამს კითხვას: ამ ხალხით რატომ არავინ არ დაინტერესდებიო? განა თვითონ რედაქციის მუშაკები მოწოდებული არ არიან გამოავლინონ და ამხილონ სპეკულანტები?

მაგრამ გაზეთების „ახალი მარნეულისა“ და „ახალი კოლხეთის“ რედაქციები თავს იკავებენ გაბედული კრიტიკისაგან, უპირატესად ბეჭდავენ ოფიციალურ მასალებს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს საწარმოებში დარღვევების შესახებ, რასაც იღებენ პარტიის რაიკომებისაგან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისაგან,

გავაძლიეროთ ბრძოლა დარღვევების წინააღმდეგ ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში

□

სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ადმინისტრაციული ორგანოებისაგან. მაგალითად, 7 ივნისს გაზეთმა „ახალმა მარნეულმა“ საერთო სათაურით „განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი“ დაბეჭდა სტატია „გავაუმჯობესოთ მომსახურების სფეროს მუშაობა“. შეახსენებს რა მკითხველებს პარტიის მარნეულის რაიკომის მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, გაზეთი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს ვაჭრობისა და ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებში, ფასების დამახინჯების, მომხმარებელთა მოტყუების, დეფიციტური საქონლის გადამალვის ფაქტებს. ამ პრინციპული კრიტიკისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უნდა განხორციელდეს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისადმი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მუშაობის გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი. არაერთგზისი დაპირების მიუხედავად, რომ გამოსწორდებოდა ნაკლოვანებანი, ყველაფერი წინანდებურადაა. ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში კვლავ გამოვლინდა სამარცხვინო ფაქტები. ამ ფაქტების აღნუსხვის შემდეგ მასალას რედაქციისაგან ასეთი მინაწერი აქვს: საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის მიერომ განიხილა აღნიშნული ნაკლოვანებანი და მიიღო შესაბამისი დადგენილება. ანალოგიური მასალები იშვიათად როდი გვხვდება გაზეთში.

ასეთსავე გზას დაადგა გაზეთი „ახალი კოლხეთიც“. მაგალითად, 4 და 5 აგვისტოს მან გამოაქვეყნა ოფიციალური მასალები. ერთი მათგანია „ვაჭრობის წესების დაცვას — მკაცრი კონტროლი“, რომელსაც აქვს საერთო სათაური „საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომისიებში“. წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ უკანასკნელ ხანს უფრო იშვიათად შეიმჩნევა მყიდველთა მოტყუების ფაქტები, აშაღლდა მომსახურების კულტურა. მაგრამ, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებანი. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების დაცვის კომისიამ დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. მეორე მასალაში — „სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში“ ვკითხულობთ, რომ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელმძღვანელი მუშაკები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კოლექტივების წევრთა აღზრდას, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას. საქალაქო ორგანიზაციებისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული.

ზოგჯერ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რედაქციათა მუშაკები ამჩნევენ ნაკლოვანებებს ამა თუ იმ უბანზე, მაგრამ რატომღაც კორესპონდენტიებს დიდი დაგვიანებით აქვეყნებენ. გაზეთებს „შკარად აკლიათ ოპერატიულობა. უკეთესია ოპერატიულად ქვეყნდებოდეს მასალები, არ ერიდებოდნენ გაბედულ კრიტიკას, ხელს უწყობდნენ პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარებას, დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას. ამისათვის რედაქციებმა მჭიდრო კონტაქტები უნდა დაამყარონ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან: შრომის მოწინავეებთან, აქტივისტებთან. ეს მათ ხელს შეუწყობს კვალიფიციურად გაამუქონ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები. რეიდების ორგანიზაციაში რედაქციების თანამშრომლებთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ საქმის მცოდნე სპეციალისტები.

თანამმდევრულად და ღრმად უნდა გავაშუქოთ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა მუშაობის საკითხები.

მეათე ხუთწლედის მეორე წლის დამდეგს სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს მარნეულის რაიონისა და ქალაქ ფოთის შრომელებმა, მათ შორის — ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმაც. ეს ვალდებულებანი 29 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთებში, კერძოდ, „ახალ მარნეულში“. სამწუხაროდ, გაზეთებს არ გაუშუქებიათ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

საკმაოდ აქტიური არ არის გაზეთების როლი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრივი აზრის დარაზმვაში. მათ ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა მწყობრი სისტემა. გაზეთების ფურცლებზე იშვიათად იბეჭდება კრიტიკული მასალები. კრიტიკა მეტწილად ეხებათ მხოლოდ დახლების მუშაკებსა და ოფიციანტებს. თითქმის მივიწყებულია რუბრიკა „ჩვენი გამოსვლების კვალდაკვალ“, რაც მოწმობს მათი ბრძოლისუნარიანობის შესუსტებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთებმა მხოლოდ უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე რამდენადმე გააქტიურეს ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში, შეიმუშავეს კონკრეტული გეგმები ამ მიმართულებით.

• • •

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიამ განიხილა გაზეთების „ახალი კოლხეთისა“ და „ახალი მარნეულის“ მუშაობა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის, არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია იგი და ურჩია ძირფესვიანად გარდაქმნან ეს მუშაობა, დასახონ და თანამიმდევრულად განახორციელონ ხარვეზების ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

კომისია პერიოდულად განიხილავს ხოლმე ყველა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაობას ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. (საქინფორმი).

მიეძღვნა ახალგაზრდობის აღზრდას

ქარელი. ამ დღეებში პარტიის ქარელის რაიკომმა და საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ მოაწყვეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „ახალგაზრდობის კომუნისტური, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის საკითხები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად“.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკები, საშუალო სკოლების, ელექტრომექანიკური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები.

თემებზე „ოჯახის როლი ბავშვის ზნეობრივ აღზრდაში“, „კომუნისტური მორალი, როგორც ძირითადი პირობა ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში“, „კულტურული ყოფაქცევა უნდა ამშვენებდეს საბჭოთა ახალგაზრდობას“, „ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიის „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“ შესწავლის შესახებ“ მოხსენებები გააკეთეს პროფესორებმა ტ. სარიშვილმა, პ. ჯანელიძემ, დოცენტებმა შ. კუპუნიძემ და ს. ციცოშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰ. ხუციშვილმა და რაიკომის მდივანმა ქ. სამნიაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეთა შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს ლექტორებმა.

თ. გოგოლაძე.

საკდესი იტყობინება

მსოფლიოს ამბები

სოციალიზმის ქვეყნებში

ბულგარეთი ძმური თანამშრომლობის ნაყოფი

სოფია, 3 იანვარი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა, რომელიც გამოვიდა სოფიაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მეთაურთა დარბაზობაზე, აღნიშნა, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში 1977 წელმა ჩაიარა ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნით. მთავარი ღონისძიებები მიზნად ისახავდა ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების შემდგომ დაკმაყოფილებას, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოებას. მთელი რიგი სიძნელეების — სტიქიურ უბედურებათა და არახელსაყრელი საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურის მიუხედავად ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების გეგმა მეშვიდე ხუთწლედის მეორე წელს წარმატებით შესრულდა, თქვა მან.

ტ. ჟივკოვმა ხაზი გაუსვა, რომ ეს წარმატება მიღწეულია ბულგარელი ხალხის გულმოდგინე, გმირული შრომის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის შედეგად.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გასულ წელს გრძელდებოდა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების გზებს აქტიური ძიება. მთავარი ამოცანა, რომელიც ხალხებისა და მთავრობების წინაშე დგას, ხაზი გაუსვა მან, — ეს არის მესამე მსოფლიო ომის წარმოშობის საშიშროების საბოლოოდ აღკვეთა. სოციალისტური სახელმწიფოები, მათ შორის ბულგარეთი, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ ამ საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ხალხებს იმედი აქვთ, რომ დაწყებული წელი თვისებრივად ახალი ეტაპი გახდება გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებაზე თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლაში.

ეგვიპტის გაზეთის პროვოკაციული მონაჭორი

კაირო, 3 იანვარი. (საკდესი). ეგვიპტის „ალ-გუმჰურიამ“ დაბეჭდა „სენსაციური“ სტატია, რომელშიც ამტკიცებს, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარეზე იასირ არაფატზე თითქოს „ენერგიულ და ტერორისტულ ზეგავლენას ახდენს“, თითქოს მას „ფიზიკური მოსპობით ემუქრება“ რომელიღაც დაჯგუფება, რომელიც, გაზეთის სიტყვით, „დამახასიათებელია მოსკოვისათვის მუშაობს“. ამგვარი „ზეგავლენის“ საბაბი, წერს გაზეთი, ის არის, რომ ი. არაფატს „საბოლოოდ არ გაუწყვეტია კავშირი ეგვიპტესთან“, რომლის პრეზიდენტი, როგორც ცნობილია სეპარატულ მოლაპარაკებას აწარმოებს ისრაელთან.

ასეთი მონაჭორის აზრი სავსებით აშკარაა. ეგვიპტე-ისრაელის ორმხრივი შეხვედრების მსვლელობაში მათი მონაწილენი ცდილობენ გასწორონ პალესტინის არაბი ხალხის ინტერესები და სახელი გაუტეხონ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ხელმძღვანელს, როგორიცაა ი. არაფატი.

როგორც პრესა იუწყებოდა, ისრაელის წინაშე კაპიტულანტები ეძებენ არაბ კვისლინგებს, რომელთა დახმარებით მათ სურთ თავს მოახვიონ არაბულ ქვეყნებს ახლო აღმოსავლეთში ეგრეთწოდებული „მოუსერიგების ისრაელის გეგმა“. რაც შეეხება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის პოზიციას, მან კვლავ ჩამოაყალიბა იგი ინგლისურ გაზეთ „გარდიანისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, გახაცხადა რა: ისრაელი და ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ უგულებელყონ პალესტინის ფაქტორი — პალესტინელი ხალხი. ჩვენი რევოლუციის 13 წლის მახეილზე არ ყოფილა არც ერთი შეთქმულება, რომელშიც ძოსაწილეობა არ მიეღოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მსოფლიო სიონიზმსა და მათ აგენტებს არაბულ სამყაროში. ჩვენ არ შევწყვეტთ ამ რაიონში მშვიდობისათვის ბრძოლას. მაგრამ ეს უნდა იყოს სამართლიანი მშვიდობა, მშვიდობა არა ჩვენს ხარჯზე.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ეგვიპტის გაზეთის ზემოხსენებული მტკიცება, კერძოდ საბჭოთა კავშირის შემართაც, — სხვა არაფერია, თუ არა მორიგი პროვოკაციული მონაჭორი.

ბასკთა ქვეყანას ავტონომია მიენიჭა

მადრიდი, 3 იანვარი. (საკდესი). ესპანეთის პარლამენტის დეპუტატთა კონგრესის სპეციალურმა კომისიამ ერთხმად მოიწონა მთავრობის კანონპროექტი ბასკთა ქვეყნისათვის დროებითი ავტონომიის მინიჭების შესახებ. იგი ძალაში შევა ოფიციალურ მაცნეში „ბოლეტინ ოფიციალ დელ ესტადოში“ გამოქვეყნების შემდეგ და იმოქმედებს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს ეროვნული ოლქების სტატუსს.

კანონპროექტის შესაბამისად ბასკთა ქვეყანაში შეიქმნა გენერალური საბჭო (ავტონომიური მთავრობა). გათვალისწინებულია, რომ საბჭო, რომელსაც იურიდიული უფლებამოსილება ექნება იმოქმედებს მანამდე, სანამ ბასკთა ქვეყანას საბოლოო ავტონომია არ მიეცემა.

ბასკთა ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, მათ შორის კომუნისტურმა პარტიამაც, დადებითად შეაფასეს ეს კანონპროექტი, აღნიშნეს, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯია სრული ავტონომიის მიღწევის გზაზე.

გზა გადავუღობოთ საშიშ გეგმებს!

კენედი სინბი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გეგმებმა — შეუდგეს ნეიტრონული ბომბის წარმოებას — მთელი მსოფლიოს შეშფოთება გამოიწვია და ბიძგი მისცა ფართო საპროტესტო კამპანიას, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „ხალხთა მორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა „ფინეთის მშვიდობის მომხრეთა“ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მ. ვირე-ტუომინენმა.

ნეიტრონული ბომბი საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის, ფინელებისთვისაც. ამიტომ საჭიროა მთელი ძალით ვიბრძოლოთ ატომური ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის, და მაშასადამე — ნეიტრონული ბომბის აკრძალვისათვისაც.

სან-ფრანცისკო. ვაშინგტონის მიერ ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე ხელის აღება შეუსაბამება ამერიკელი ხალხის ნამდვილ ინტერესებს, ხაზი გაუსვა „კალიფორნიის კანონმდებლობის მეგობართა კომიტეტის“ ორგანიზაციის წარმომადგენელმა ეკოლტონმა. ჩვენი ორგანიზაცია იბრძვის სამხედრო ხარჯების საყოველთაო შემცირებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ატომური არსენალის შემცირებისათვის, ამასთან მიაჩნია, რომ ამ გზით დაზოგილი სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის გადაუდებელი სოციალური საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. ე. კოლტონმა ხაზი გაუსვა, რომ ნეიტრონული ბომბი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო არსენალის ყველაზე ავბედითი შვილებაა, რადგან იგი ადიდებს ატომური კონფლიქტის გაჩაღების საფრთხეს.

„კალიფორნიის კანონმდებლობის მეგობართა კომიტეტი“ შტატში ფართო კამპანიას ეწევა და მოუწოდებს ამერიკელებს გაუგზავნონ თავის წარმომადგენლებს კონგრესში წერილები თხოვნით არ დაუშვან ნეიტრონული იარაღის გაშლა.

ჰარშავა. პოლონეთის ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა მოუწოდეს მსოფლიოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესიის ძალების ახალ ცდებს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ჯამოიყენონ დანაშაულებრივი მიზნებისათვის. სწორედ ასეთ მიზნებს ემსახურება ნეიტრონული ბომბი, რომლის შექმნისა და გავრცელების გეგმები ჩაფიქრებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ნათქვამია პოლონეთის მთავარი ტექნიკური ორგანიზაციის მიერ აქ გამოქვეყნებულ რეზოლუციაში.

რადიაციის მოვლენა, რომელიც ჩვენმა დიდმა თანამემამულემ მარიან სკლოდოვსკაია-კიურიმ და მისმა ქმარმა პიერ კიურიმ აღმოაჩინეს, უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობას, აღნიშნულია დოკუმენტში. ამ მოვლენის გამოყენება ყოველივე ცოცხალის მოსპობისათვის ყველა კეთილი ნების ადამიანის პროტესტს იწვევს.

ბაბანდწუ. ნეპალის ყოველკვირეულმა „სამიჭამ“ მოუწოდა გაშალონ ფართო საპროტესტო კამპანია შეერთებული შტატების გეგმების წინააღმდეგ — შექმნას ნეიტრონული ბომბი. ამერიკელმა მილიტარისტებმა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მეცნიერებმა, — აღნიშნავს „სამიჭა“, — დაიწყეს ერთობლივი შეტევა ადამიანის უდიდეს უფლებაზე — სიცოცხლის უფლებაზე“.

ნეიტრონული იარაღი ანადგურებს ყოველივე ცოცხალს, წერს შემდეგ „სამიჭა“. მის გამოყენებას უცილობლად მოჰყვება მოსპობის სხვა ატომურ საშუალებათა ამოქმედებაც. სიცოცხლისათვის, კაცობრიობის ცივილიზაციისათვის, მშვიდობის კეთილდღეობისათვის ყველა კეთილი ნების ადამიანმა გზა უნდა ვადაუღოს იმ საშიში გეგმების განხორციელებას, რომლებსაც მსოფლიო კატასტროფა მოჰყვება.

(საკდესი, 3 იანვარი).

მოკლედ

ყოველი მსრიდან

□

ს. კიპრიანუს პრესკონფერენციაზე

● **ნიკოზია.** კვიპროსის პრეზიდენტმა ს. კიპრიანუმ განაცხადა, რომ აპირებს განაგრძოს განსვენებული არქიეპისკოპოს მაკარიოსის პოლიტიკური კურსი. პრესკონფერენციაზე მან ჩამოაყალიბა მომავალ არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატის თავისი საარჩევნო პროგრამა და აღნიშნა, რომ საფრთხეშორისო ასპარეზზე კვიპროსი განახორციელებს მიუმხრობლობის პოლიტიკას, განამტკიცებს ურთიერთობას ყველა ქვეყანასთან. დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია აგრეთვე არალეგალური ტერორისტული ჯგუფების ლიკვიდაცია, სახელმწიფო აპარატის წმენდა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და ისეთი ორგანოების განმტკიცება, როგორიცაა ეროვნული გვარდია და პოლიცია.

გმობენ კაპიტულანტურ კურსს

● **დამასკო.** აქ გაიმართა ხიერიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ცნობაში პლენუმის შესახებ ნათქვამია, რომ სირიისა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის ამბები ადასტურებენ პარტიის პრინციპული კურსის სისწორეს. პლენუმმა მოიწონა პარტიის წარმომადგენელთა საქმიანობა სირიის არაბთა რესპუბლიკის პროგრესული ეროვნული ფრონტის ცენტრალურ ხელმძღვანელობაში, ქვეყნის სახალხო საბჭოსა და მთავრობაში.

პლენუმმა დაგმო ხადათის კაპიტულანტური პოლიტიკა, მისი თანამშრომლობა ამერიკის იმპერიალიზმთან და სიონიზმთან.

 კაპიტალის ქვეყნებში

რასისტულ რეჟიმთან კავშირის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატები. „ამერიკის კორპორაციებო, გაეცალეთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას!“, „არავითარი მხარდაჭერა პრეტორიის რასისტებს!“ — ასეთი ლოზუნგებით ნიუ-იორკში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ამერიკის დიდი ბიზნესის კავშირის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ გრძელდება და ხულ უფრო საშიშ ფორმებს იღებს. მიტინგზე გამოსულმა ხაზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ „სტანდარდ ოილი“, „მობილ ოილი“, „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდ მოტორი“ და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა კორპორაციები, რომლებიც მილიარდობით დოლარს აბანდებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლი

შრომის გმირთა საბჭო

სულ უფრო აქტიურად მუშაობს სოციალისტური შრომის გმირთა საბჭო, რომელიც სოფლის კომუნისტთა ინიციატივით შეიქმნა ოჩამჩირის რაიონის მერხეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობაში. საბჭოს წევრებმა — წარჩინებულმა აფხაზმა მიწათმოქმედებმა პ. უბირიამ, ბ. ანთიამ და ე. მიქავაბამ, რომლებსაც უკვე მეოთხედი საუკუნეა ოქროს ვარსკვლავი უმშვენებთ მკერდს, ახალგაზრდა მეჩაიეების, მეციტრუსეებისა და მემინდვრეების შეფობა იკისრეს და უზიარებენ მათ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას.

სახელგანთქმული ვეტერანების გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. გაიზარდა ქალიშვილებისა და ჯაბუკების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, კიდევ უფრო მტკიცდ შეუყვარდათ მათ მიწა. ახალგაზრდობა სოფლიდან აღარ მიდის. საბჭოთა მეურნეობის მუშებს ახლა მეტი შემოსავალი აქვთ. თუ ისინი წინათ თვეში 60-70 მანეთს იღებდნენ, ახლა საშუალო თვიური ხელფასი 180 მანეთს შეადგენს.

მეათე ხუთწლედის დამდეგიდან ოჭრის ვარსკვლავის კავალერთა მოწინავეე გამოცდილების სკოლა უკვე 200-ზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ გაიარა.

ბევრი საქმე და საზრუნავი აქვთ დამრიგებლებს. ახლა საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდები აშენებენ ჩაის, ციტრუსს, ბამბუკის პლანტაციებს, ეკალნარს. დიდი იმედი აქვთ, კერძოდ, ახალი, „კოლხეთის“ ჯიშის ჩაისა, რომელიც ჰექტარზე 12-13 ტონა მაღალხარისხოვან ფოთოლს იძლევა. ახალი ჩაის პლანტაციების გაშენების სამუშაოთა ხარისხისადმი კონტროლი შრომის გმირთა საბჭომ ითავა. (საქინფორმი).

□

პატარების სასახლეში

ილგს „პიონერფილმი“

მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ გადაავლეს თვალი წინასწარ შედგენილ გეგმას, დაზუსტეს სცენები, კადრების კომპოზიციები, შეარჩიეს ხედები, პატარა მსახიობებმა გრიმი მოიხდინეს, თავიანთი ადგილები დაიკავეს გამნათებლებმა, ოპერატორებმა.

გადაღებას იწყებს „პიონერფილმი“...

სულ მალე როლები იცვლება, რეჟისორი გრიმიორი ხდება, გრიმიორი — რეჟისორი, ნორჩი მსახიობები ოპერატორებს ენაცვლებიან. შემოქმედებითს ძიებაში იქმნება ნორჩ კინომოყვარულთა ფილმები.

ეს გოგო-ბიჭები თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კინოკაბინეტის წრის წევრები არიან.

საინტერესო და მიმზიდველია კინოწრეში მეცადინეობა. წრის მიზანია მოზარდებმა კინოხელოვნების ანბანი შეისწავლონ და ყველა სფერომი სცადონ ძალა.

ოცი წელია, რაც სასახლესთან კინოკაბინეტი არსებობს. წრის პედაგოგი გრიგოლ ჩიგოგიძეც ოცი წლის წინათ მოვიდა სასახლეში როგორც მოსწავლე. ის სიყვარული დღესაც არ განელებია და ახლა თვითონ აზიარებს მოსწავლეებს კინოსმაყარის, მასთან ერთად მოზარდების დახელოვნებას ემსახურებიან კაბინეტის გამგე ლალი თოფურია და პედაგოგი სვეტლანა მარჯანიშვილი.

პიონერები მრავალი ინიციატივის ავტორები არიან. ისინი შეფობას უწევენ ყალინინის რაიონის საბავშვო ბაღებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო კინომოყვარულთათვის წლევანდელი ზაფხული. მოსწავლეებმა კასპის რაიონში მოაწყვეს ბანაკი და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღეს, შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარეს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან და მათთან ერთად გადაიღეს ფილმი „თქვენ რომ არა“.

გაიხარეს ახლახან ნორჩებმა. მათ მიერ გადაღებულ ფილმს „ზურას ფოტო“ (ავტორი ზ. ადუაშვილი) კინომოყვარულთა რესპუბლიკურ ფესტივალზე პირველი პრემია და დიპლომი მიეკუთვნა.

მალე ბაქოში გაიმართება მოსწავლეთა თვითმოქმედების ფესტივალი. სასახლიდან მხატვრულ კოლექტივებს „პიონერფილმის“ გადაღმები ჯგუფიც გაჰყვება და ფესტივალის სისხლსავსე ცხოვრებას ფირზე აღბეჭდავს. მრავალი ჩანაფიქრი აქვთ ნორჩებს. დაე წარმატებით განეხორციელებინოთ ისინი.

რ. მუხიგულაშვილი.

ცხოვრება ცლის მომავალ სპეციალისტებს

გამოცდების ცხარე დღეები



ასეა ყოველთვის, ახალი წლის სადღესასწაულო დღეებს სტუდენტთა მშფოთვარე ზამთრის სესიები ახლავს. რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში ახლა დაძაბული დღეებია. გამოცდას გადის ჩვენი სტუდენტობა.

ახლა, როცა ასე მაღალია თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონე, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ჩვენი მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის მომავალი სპეციალისტების სწავლა-აღზრდის საქმეში, თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს. მათ წინაშე ხომ დიდ პერსპექტივებს შლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის სულისკვეთებით ჩატარებული საქართველოს კომპარტიის VIII პლენუმის გადაწყვეტილებები.

ზამთრის სესიების მორიგი „შტურმი“ წარმატებით დაიწყო რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ინსტიტუტის 29 ფაკულტეტზე 68 სპეციალობას ეფფლება 25192 სტუდენტი, მათს აღზრდას ემსახურება 1623 პროფესორ-მასწავლებელი, მომავალი სპეციალისტების განკარგულებაშია 120-ზე მეტი კაბინეტ-ლაბორატორია, ნათელი აუდიტორიები.

— რექტორატი წინასწარ მოემზადა სესიების უკეთ ჩატარებისათვის — თქვა ინსტიტუტის პროორექტორმა სასწავლო მუშაობის დარგში დოცენტმა დ. ხეციძემ. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ყველა ფაკულტეტზე ჩათვლების დამთავრებას სემესტრების „ბოლოს“-ში, აგრეთვე მოსამზადებელი განყოფილებიდან ჩარიცხულნი სტუდენტების მომზადებას „გამოცდებისათვის. დიდ დახმარებას გვიწევს ინსტიტუტის პარტიული კომიტეტი, სესიების მაღალ დონეზე ჩატარების საკითხი რამდენჯერმე განხილულ კომიტეტის სხდომებზე, შექმნილ სპეციალური ოპერატიული ჯგუფიც პარტიული კომიტეტის მდივნის ჯ. კუხალაშვილის თავჯდომარეობით. ჯგუფს დაევალა სესიებისათვის მზადებისა და მიმდინარეობისადმი კონტროლი. სესიები 29 დეკემბერს დაიწყო და 1978 წლის 25 იანვრამდე გასტანს.

ახალგაზრდებით სავსე დერეფნებში მეღლვარეობს დაუსადგურებია, აუდიტორიებში გამოცდები მიმდინარეობს. ავტომექანიკის ფაკულტეტზე (დეკანი — დოცენტი ი. ამბროლაძე) ბევრი ამბობს ამ წამოწყებას, და ავტომექანიკური ფაკულტეტიც სტუდენტთა სწავლის ხარისხობრივი მაჩვენებლის მხრივ ერთ-ერთი მოწინავეა ინსტიტუტში.

ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტის (დეკანი — დოცენტი თ. ამბროლაძე) მეორე კურსის № 1352 ჯგუფის სტუდენტები საშენ მასალებში გამოცდას აბარებენ პროფესორ პ. წულუკიძეს. ი. მარწყვიშვილსა და რ. კაკუთელაძეს ოთხები მიეღიათ, მ. მიქავამ ფრიადი მიიღო, სხვები კი, შემკრთალნი ელოდნენ გამოძახებას. რას იხამ, გამოცდა წარმოუდგენელია ღელვისა და განცდის გარეშე, სამაგიეროდ გამოცდა წრფობაა.

სესიები გრძელდება.

გ. დურგლიშვილი.

სურათზე: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი ე. მეცხვარიშვილი საგანში — „ქიმიის ტექნოლოგიის ძირითადი პროცესები და აპარატები“ გამოცდას აბარებს დოცენტ რ. იაშვილს.

ს. კილაძის ფოტო.

სპორტის ამბები

ახალი ტრაგედია პროფესიულ რინგზე

პარიზი, 4 იანვარი. (საკ. კორ. ე. კორეევი). 20 წლის ასაკში დამთავრდა დასავლეთ გერმანელი მოკრივის, პროფესიონალთა ქვეყნიერების ჩემპიონის, ორგ ეიპელის კარიერა. ფრანგ ალენ მარიონთან მატჩში, რომელიც კრეეში (საფრანგეთი) მიმდინარეობდა, მან უკანასკნელ, მე-15, რაუნდში ვერ აიცდინა ძლიერი დარტყმა და ნოკდაუნში აღმოჩნდა. წამოდგა და კვლავ ძირს დასცა მოწინააღმდეგის დარტყმამ. ეიპელმა გონება დაკარგა. ექიმების აზრით, შესაძლოა მოხდა ტვინში სისხლის ჩაქცევა, და სპორტსმენი მძიმე მდგომარეობაში გაგზავნეს საავადყოფოში.

ეს ისტორია ტიპიურია პროფესიული კრივისათვის. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მარტო დაღუპულ მოკრივეთა ოჯახებს შვიდ ათეულს მიაღწია. რამდენი ახალგაზრდა სპორტსმენი დასახიჩრდა ამ ხნის განმავლობაში.

ეიპელის ტრაგედია კვლავ აყენებს საკითხს, აქვს თუ არა არსებობის უფლება პროფესიულ კრივს, რომელიც ხარბმა საქმოსნებმა გადაქციეს სპორტსმენთა ჯანმრთელობისა, ხოლო ზოგჯერ მათი სიცოცხლის ხარჯზე გამდიდრების საშუალად, რომლებიც თანამედროვე „გლადიატორად“ გადაიქცნენ. გაზეთი „მატენი“ მოგვაგონებს, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა დიდი ხანია გადაწყვიტეს ეს „მორალური და სამედიცინო ხასიათის ძველი პრობლემა იმით, რომ ამ ქვეყნებში ნებადართულია მხოლოდ მაყვარულთა ბრძოლა, რომელიც მარტო სამ რაუნდს გრძელდება“.

ხელგურთი სასკოლო პროგრამებზე

ჰავანა. თავისუფლების კუნძულზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ხელბურთი. უკვე რამდენიმე წელია კუბელები აწყობენ რესპუბლიკის ჩემპიონატებს ხელბურთში 9-16 წლის ბავშვებს შორის. განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა ხელბურთი საკალდებულო სასკოლო საგნად გახადოს 1-2 კლასში. ამჟამად კუბაში რეგისტრირებულია ხელბურთელთა უკვე 900 გუნდი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში თამაშობენ ღია მოედანზე.

„სპორტლოტო“

გაცნობებთ 4 იანვარს გამართული 1978 წელს „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“ პირველი ტირაჟის შედეგებს:

„სპორტლოტო“: 8 (კრივი), 18 (რაკეტაფელა), 21 (ცხენოსნობა), 22 (ციგურები), 34 (ხელბურთი), 39 (სამბო), შეღავათიანი ბურთი — 43 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო-2“: 8 (კრივი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 15 (წყალბურთი), 38 (მშვილდოსნობა), 43 (ფარიკაობა), 47 (ბურთიანი ჰოკეი), შეღავათიანი ბურთი — 2 (ავტოსპორტი). (საკ.).

კვლავ ფეხბურთელთა იმპორტი!

რომი. (საკ. კორ.). დღეისათვის იტალიის ფეხბურთში თამაშობს მხოლოდ ერთი უცხოელი — 36 წლის ბრაზილიელი „ლაციოს“ კლუბიდან სერჟიო კლერიჩი. იგი დარჩა ამ დროიდან, როცა სამოციანი წლების დასაწყისში „უცხოთის ლეგიონმა“ (ასე უწოდებდნენ აპენინებზე საზღვარგარეთიდან ჩამოსულ პროფესიონალ ფეხბურთელებს) შეავსო იტალიის ფეხბურთი. შემდეგ კი, როცა იტალიის ნაკრებს მარცხი მოუვიდა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში 1966 წელს „ლეგიონერების“ წინაშე აღმართეს ბარიერი: მათ ბრალი დასდეს, რომ ამუხრუჭებენ ფეხბურთს, რაც თავის გამოჩენის საშუალებას არ აძლევს ახალგაზრდა ნიჭიერ იტალიელ მოთამაშეებს.

ახლა კი იტალიის ფეხბურთის ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორიცაა სანდრო მაცოლა, წინადადებას იძლევა გააუქმონ „ფეხბურთელთა შესყიდვის“ აკრძალვა.

1966 წლის სახელმწიფო ვ-პროდენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ მოსკოვში 1977 წლის 30 დეკემბერს გამართული 92-ე მოგებათა ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის სამოცდათერმეტივე თანრიგის სერიებისა. ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების ოდენობა. მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების ოდენობა მანეთობით
101087	1—50	40	129580	45*)	2.500	163649	1—50	100
101325	1—50	100	129613	1—50	40	164140	1—50	40
101834	23*)	500	130361	1—50	40	164670	1—50	40
102373	38*)	1.000	130591	20*)	500	165060	36*)	500
102640	44*)	500	130718	46*)	500	166057	12*)	500
102756	26*)	500	130865	1—50	100	166737	29*)	500
102881	30*)	500	131292	1—50	40	166791	15*)	500
102971	37*)	500	133818	45*)	500	167482	08*)	500
103117	48*)	500	134069	19*)	500	168246	36*)	500
103316	48*)	500	134979	1—50	40	168279	34*)	500
103649	44*)	500	136128	1—50	40	168363	23*)	500
104019	40*)	500	137024	1—50	40	168642	50*)	2.500
104575	44*)	500	137988	1—50	100	168791	29*)	500
106334	50*)	500	138176	24*)	500	169972	21*)	500
106860	42*)	1.000	138419	38*)	500	170115	02*)	500
107315	14*)	500	138896	15*)	500	170291	1—50	40
107442	36*)	1.000	138972	37*)	500	170412	20*)	2.500
108907	1—50	40	139097	46*)	500	170564	22*)	500
109716	44*)	500	139453	38*)	500	170995	45*)	500
109878	02*)	500	139564	1—50	100	171712	08*)	500
110261	27*)	500	141529	1—50	40	172614	1—50	40
110489	26*)	500	141907	1—50	100	173991	10*)	500
111086	29*)	500	141982	1—50	100	175749	15*)	500
111118	47*)	500	142384	49*)	500	177264	15*)	500
111127	1—50	40	143000	47*)	500	177419	46*)	500
111725	41*)	500	143189	28*)	500	177920	04*)	1.000
111851	1—50	40	143547	50*)	500	178683	1—50	100
113251	11*)	500	145563	08*)	500	180238	05*)	500
114073	28*)	500	145578	1—50	40	180363	1—50	40
114430	42*)	500	145586	13*)	500	181326	30*)	500
114732	50*)	500	145817	30*)	1.000	182146	46*)	500
115578	1—50	100	147143	43*)	500	183146	24*)	500
117164	1—50	40	147146	12*)	1.000	183627	1—50	40
117719	15*)	500	147539	1—50	40	183970	02*)	500
118046	28*)	500	149145	04*)	2.500	184556	1—50	40
118098	05*)	500	150065	46*)	500	184570	11*)	1.000
118570	50*)	1.000	150419	05*)	500	184732	1—50	40
118637	04*)	500	150565	1—50	40	185371	11*)	500
119627	1—50	100	150885	1—50	100	185404	36*)	500
119854	46*)	1.000	151309	1—50	100	185988	1—50	40
119997	06*)	1.000	151455	12*)	500	186102	1—50	40
120813	1—50	40	151679	01*)	500	187020	41*)	500
121339	16*)	1.000	152555	33*)	500	187517	11*)	5.000
123160	05*)	500	153234	1—50	40	187585	19*)	500
123424	37*)	1.000	153313	29*)	500	188943	1—50	40
123526	40*)	500	153361	18*)	500	189403	1—50	100
123549	01*)	1.000	153525	21*)	500	189700	21*)	1.000
123872	34*)	500	153966	14*)	2.500	189898	41*)	1.000
124381	35*)	500	153994	37*)	500	190191	39*)	500
124526	1—50	100	155161	18*)	1.000	190504	07*)	500
124607	40*)	500	155564	20*)	500	192758	15*)	500
124858	1—50	40	156016	09*)	500	192769	1—50	40
125911	23*)	500	156429	15*)	500	193246	21*)	1.000
126498	1—50	100	157465	1—50	40	193287	1—50	40
126518	10*)	500	158054	1—50	40	193459	12*)	500
126519	17*)	1.000	158162	31*)	500	195186	1—50	40
126811	18*)	500	158194	34*)	500	195226	01*)	500
126881	27*)	5.000	159746	32*)	500	195278	38*)	500
127101	05*)	500	160411	42*)	500	195490	05*)	500
127538	31*)	500	160941	01*)	500	197347	18*)	1.000
127702	42*)	500	162160	1—50	40	198249	1—50	40
127796	09*)	500	162326	16*)	500	199853	1—50	40
129548	11*)	500	163042	37*)	1.000			

X ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში წარმოდგენილია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხამი შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ქ. მოსკოვის პეროვის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნ. სამოხინი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ესინა.

ა. გეგეჭკორი

გარდაცვალა 1918 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის ფეოდალური პენსიონერი ალექსანდრე ივანეს ძე გეგეჭკორი. ა. გეგეჭკორი დაბადა 1900 წელს ... 1932 წლიდან ... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იგი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა, იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განყოფილების გამგე, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის დოცენტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის ლექტორი, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი და ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის კათედრის გამგე.

ა. გეგეჭკორმ აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის „აარსებაში, იგი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის პრეზიდიუმის წევრი, ამ ფილიალის საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის წევრი და ამიერკავკასიის ფილიალის და საქართველოს განყოფილების საექსპედიციო გამოკვლევათა კომისიის თავმჯდომარე იყო.

1936 წლიდან ა. გეგეჭკორი პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის კულტურის და პროპაგანდის განყოფილების გამგეი, იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და აჭარის სახელმწ. კომიტეტის წევრი.

უკანასკნელ ხანს, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ა. გეგეჭკორი თბილისის სხვადასხვა ორგანიზაციებში იურისტად მუშაობდა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან ხალხის სამსახურს მოუძღვნა.

სპეტაკი მოქალაქის, გულისხმიერი მეგობრის ა. გეგეჭკორის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგებისა ჯგუფი.

ტელევიზია

5 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — დილის ვარჯიში (მოსკოვიდან), 09.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „არიცია მზიურ ქალაქში“ VI სერია, პრემიერა (მოსკოვიდან), 10.05 — მოსკოვის ზოოპარკში (მოსკოვიდან), 10.35 — ცეროდენას ეკრანი (ქართულ ენაზე), 10.55 — საცირკო სანახაობა, 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „აბა, დამაცადე“ (მე-5 გამოშვება), 17.45 — განცხადებები, 17.50 — ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესი“ X, XI და XII სერია (მოსკოვიდან), 19.00 — მღერის ანსამბლი „სმერჩაკ“ (ფერადი), 19.30 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მოსკოვიდან), 20.00 — ახალგაზრდობისათვის — „კომკავშირული ტელეტაიპი“, 20.20 — ქალაქური სიმღერები (ფერადი), 21.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „თავმჯდომარის ვაჟი“.

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიტალი ბიანკი“ (ფერადი), 19.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „თოვლის დედოფალი“, 20.00 — დოკუმენტური ფილმი „სასწავლო პუნქტზე“, 20.30 — მხატვრული ფილმი „გაზაფხულია, ბატონო სერჟანტო!“.

თელევიზია

5 იანვარი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ზაქელკუნაძიკი** (დღისით), **დაისი** (საღამოს); **შოთა** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მე, ბეგია, ილიკო და ილარიონი** (დღისით), **ნათან ბრძენი** (საღამოს); **კოტე** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება;** ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ნაცარქექია** (დღისით), **ლამანჩელი** (საღამოს); მინიატურების სახელმწიფო — **ნაპრები** (განახლებული დადგმა).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

პროფესია: რესტავრატორი

თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის პირველი დიპლომანტები

ამ დღეებში თბილისის სამხატვრო აკადემიის დიდ დარბაზში სადიპლომო ნაშუშევრების დაცვა მიმდინარეობდა. ეს იყო აკადემიის დიპლომანტების ორმოცდამეათე გამოშვება და ალბათ ამიტომაც გასაგებია ის განსაკუთრებული საზეიმო ატმოსფერო, რომელიც დარბაზში სუფევდა. თუმცა არა მარტო ამით! ეს იყო აკადემიის ორმოცდამეათე გამოშვება და თანაც პირველი, რადგან დიპლომს იცავდა სამი რესტავრატორი მონუმენტური ფერწერის დარგში — ამირან გოგლიძე, იმედო ჭეიშვილი და ტრისტან ოქრიაშვილი.

გაფართოებული სახელმწიფო კომისია — აკადემიის რექტორი გ. თოთიბაძე, აკადემიის ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე ლ. რჩეულიშვილი, ფერწერის კათედრის გამგე უ. ჯიფარიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფერწერისა და ქანდაკების განყოფილების გამგე თ. ვირსალაძე, თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე ბ. ზაქარაია, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი თ. სანიკიძე, აკადემიის პროფესორები და პედაგოგები.

იქვეა სამი რეცენზენტი — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები — ჯ. იოსებიძე, მ. დიდებულიძე, ა. ოქროპირიძე.

კედლებზე გაკრულია სადიპლომო ნამუშევრები. სამივე მათგანი შეფასებულია ფრიადზე. ეს მოხდა ახლახან. მაგრამ ამას წინაისტორიაც აქვს...

ახლა უკვე ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა უდიდესი სიმდიდრე აქვს საქართველოს თავისი შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლების სახით. ისიც ყველამ იცის, რომ ქართული ძეგლის მხატვრობა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა და არაჩვეულებრივად მაღალ დონეზე დგას. მაგრამ მოხდა ისე, რომ დროთა ვითარებაში გაცრეცილ და შელახულ ამ ჩვენს სიამაყეს დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი მეურვე და მომვლელი — შალვა ბარამიშვილი ჰყავდა. პროფესიით მხატვარს, მას უხდებოდა მუშაობა მარტოდმარტოს და მისი დაუშრეტელი ენთუზიაზმი და ღრმა პატრიოტიზმი რომ არა—ბევრი ძეგლი ჩვენთვის უკვე დაკარგული იქნებოდა. შემდეგ მას ორი მოწაფე ამოუდგა მხარში; კარლო ბაკურაძე პროფესიით მოქანდაკე იყო, გურამ ჭეიშვილი კი არქიტექტორი. მაგრამ ორივე ალბათ, შალვასავით, იმთავითვე „შეპყრობილი“ იყო ძეგლის სიყვარულით.

გავიდა დრო და ამ ორს მიმდევრებიც და აღზრდილებიც გაუჩნდნენ, სულ ახალგაზრდა ბიჭები, რომელთაგან ზოგიერთი აკადემიის სტუდენტი ვახდა. ამ ხუთიოდე წლის წინათ ასრულდა ხელოვნების ყველა მუშაობა და ძეგლთა მოყვარულის დიდი ხნის ნატერი ოცნება — სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა რესტავრაციის ფაკულტეტი. და აი, ჩვენ მის პირველ გამოშვებას ვეზიმობთ, ჩვენ შეგვეძინა აკადემიის კურსდამთავრებული პირველი სამი დიპლომირებული რესტავრატორი!

სამწუხაროდ, ყველაფერს, და მათ შორის ფერწერის ძეგლსაც, სიცოცხლის განსაზღვრული ვადა აქვს. ეს ბუნების კანონია. მაგრამ შეიძლება ძეგლის უკვდავყოფაც და იმისათვის, რომ ჩვენ შვილიშვილთა შვილიშვილებს შეეუნარჩუნონ ხალხის ეროვნული კულტურა, იმისათვის, რომ ის, რაც ადრედლიდან თითქმის მოიშალა, მუზეუმების საგამოფენო დარბაზებში მაინც დარჩეს სამუდამოდ, კონსერვაციი-რესტავრაციის გარდა საჭიროა მათი დროულად და მაქსიმალურად ფიქსაცია — ფოტოფიქსაცია, კინოფიქსაცია, მოხატულობის სქემის კალკაზე გადატანა ნატურალური ზომით და, რაც მთავარია, ასლების გაკეთება.

მაგრამ ასლიც არის და ასლიც. სამ დღეში მითითებული ეგრეთწოდებული „პირი“ — ძეგლის შეურაცხყოფა, ისტორიის ფალსიფიკაცია და შესრულების ხელის გაწბილებაა. და არის ასლი, ასლი, რომელსაც მისი ავტორი შესაძლოა კვირეების (და რატომ არა თვეების) განმავლობაში უხის. სამაგიეროდ კი მისი სასთუთი ფუნჯით ძველი ოსტატის ნახელავი ჯადოსნურად გაიფურჩქნება, გაცოცხლდება. განა ამაზე დიდი საფასური სხვა შეიძლება იყოს!

ეს უკვე დიდი ხნის ტრადიცია, რომ ახალგაზრდა ექიმები სწავლის დამთავრებისას ჰიპოკრატეს ფიცს სდებენ..

ახალგაზრდა რესტავრატორებმა უკვე თვით თავისი ხელობის არჩევითაც კი შეჰფიცეს თავის წინაპართ — უსახელო, მაგრამ მარადი ხსოვნაწარუშლელ შუასაუკუნეების ოსტატებს, ერთგულება, მათი საქმის გაგრძელება. ძეგლთან პირველი მისვლისას, ფრესკის პირველი ხელის შეხებისას მათ იტვირთეს ეს ვალი. ძმიმეა იგი, ბევრად უფრო ძმიმე, ვიდრე შორიდან გეჩვენება, მაგრამ მით უფრო საპატიო, მით უფრო კეთილშობილური.

ჩვენმა დიპლომანტებმა თავისი სპეციალობის ანბანი შეითვისეს აკადემიის აუდიტორიებში და შეითვისეს კარგად. მაგრამ ხელობას დაბეგვა უნდა, ხელს გაწვრთნა, გაწაფვა. ამას კი კეთილი განზრახვების გარდა ხელსაყრელი პირობებიც ესაჭიროება.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა, ვიზეადაც დამოკიდებულია ჩვენი რესტავრატორების ბედიღბალი, კულტურის სამინისტრო იქნება ეს, სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო თუ სამხატვრო აკადემიის რექტორატი — მეტი ყურადღებითა და სერიოზულობით უნდა მიუდგნენ ამ სადღეისოდ უაღრესად აქტიურ საკითხს. ძალიან ბევრია გასაკეთებელი, მოსაფიქრებელი და ამას დროულად უნდა მოვევლოს. რესტავრატორთა შრომითი უზრუნველყოფა ზამთრის თვეებს განმავლობაში, მათი გაგზავნა მსხვილ სარესტავრაციო ცენტრებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ცოდნის გასაღრმავებლად, ახალი სპეციალობის დასაუფლებლად — ეს ყველაფერი სახვალიოდ არ უნდა გადაიდოს, ეს დღევანდელი დღის საქმეა, ამას გვაიალებს ჩვენს ახალ კონსტიტუციაში არსებული სპეციალური მუხლი ძეგლთა დაცვის შესახებ, და კანონი, რომელიც დღეს გახეთ „კომფენსტის“ ფურცლებზე ქვეყნდება.

ხოლო იმათ, ვინც ჭაფჩითა და ფუნჯით ხელში დღეს შეუდგა თავისი მომავალი ცხოვრების გზას, ჩვენ ვუსურვებდით ხელის სიფაქიზესა და სიზუსტეს, ნებისყოფის სიმტკიცესა და თავისი საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ჩვენ ვუსურვებდით მათ ძეგლისადმი უანგარო თავდადებას, დიახ, თავდადებას, რადგან სამშობლო მათ ხელთ აბარებს თავის საუნჯეს.

ეკა პრივალოვა,
ხელოვნებათმცოდნე.

სურათებზე: (მარცხნი